საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Райкома Совета народных депутатов

№30 (6256) შაბათი, 1990 წლის 10 მარტი ფასი 3 კაპ.

გაზაფხული გვესტუმრა! ყოველი დღე—წლის უხვი მოსავლის საშსახურში!

8 მარტს მიეძღვნა

ქართველი ქალი ოდითგან იყო მამულისა და ერის სიყვარულით შეჭირვებული. დედამ, მისმა სითბომ და სიმამაცემ გადაარჩინა და მოიყვანა საქართველო დღემდე. დღეს, როგორც არასდროს, ისეთი გამბედაობა და სიმამაცე მართებს ქართველ ქალს, დედის გულმა და გამჭრიახობამ, გონებამ უნდა განჭვრიტოს ხვალის გზა და საკეთებელი; ქართული სულის აღზევება, ქართული მიწის აღორძინება დედის ხელშია.

ამ დღეებში პარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი ემზარ გუგავა შეხვდა რაიონის მრავალშვილიანი დედების, ვეტერანებისა და შრომაში გამორჩეული ქალების ერთ ჯგუფს. გულთბილად მიულოცა მათ 8 მარტი და ახალ-ახალი წარმატებები უსურვა კუთხისა და ერის საკეთილდღეოდ.

ქალებს მიესალმა ავრეთვე ქალთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე მზეევინარ ძნელაძე.

ქალებმა მადლიერება გამოხატეს ყურადღებისათვის.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ონერ შალვას ძე ნემსწვერიძე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **ონერ შალვას ძე ნემსწვერიძე** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო—საარჩევნო კომისიამ.

ო. შ. ნემსწვერიძე დაიბადა 1948 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში. 1965 წელს დაამთავრა ტვიშის საშუალო სკოლა, 1971 წელს—თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი.

1972 წელს მუშაობა დაიწყო ცაგერის რაიკოოპერატივის ავტოგარაჟის უფროსად. 1973 წლის ივნისიდან ნოემბრამდე მუშაობდა ავტოსატრანსპორტო საწარმოს მექანიკოსად. 1973 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ალკკ ცაგერის რაიკომის მეორე მდივნად.

1976-1980 წლებში არის ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი, 1980-1981 წლებში —ცაგერის გაზის უბნის, 1981-1982 წლებში რაისაბჭოს აღმასკომის საწარმოო-საგზაო უბნის უფროსი, 1982-1984 წლებში „საქსახკომსოფლტექნიკის“ ცაგერის საწარმოო გაერთიანების მმართველი.

1984 წელს დაინიშნა ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. იმავე წელს სამუშაოდ გადავიდა საწარმოო გაერთიანება მაგისტრალური გაზსადენების ქუთაისის სამმართველოს მთავარ ინჟინრად. 1986 წლის მაისიდან 1987 წლის დეკემბრამდე მუშაობდა ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორად.

1987 წლიდან დღემდე მუშაობს სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარედ.

სკკპ წევრია 1974 წლიდან. არჩეულია რაიონული საბჭოს დეპუტატად. არის საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის ბიუროსა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის წევრი.

ცოლშვილიანია, ჰყავს მეუღლე—პედაგოგი და ორი შვილი.

ცხოვრობს ქალაქ ცაგერში. პარტიზანთა ქ. № 43.

დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პლენუმმა.

შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატთან

ყოველი განვლილი დღე გვაახლოებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დღეს — 25 მარტს. არჩევნებისათვის მზადება შევიდა ახალ ეტაპში. ახლა ყველგან იმართება დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრა ამომრჩევლებთან, რათა კიდევ უფრო ახლოს გააცნონ თავიანთი შრომითი გზა, საარჩევნო პროგრამა, გაეცნონ რეგიონის პრობლემებს, გაითვალისწინონ ამომრჩეველთა წინადადებები და დეპუტატად არჩევის შემთხვევაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო მუშაობაში.

7 მარტს ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში მოეწყო ქ. ცაგერის №22 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის დეპუტატობის კანდიდატთან, რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო ნაწილის უფროსის მოადგილე ვენედი გიორგის ძე ბენიძესთან.

შეხვედრა გახსნა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მ. მუშკუდიანმა.

ნდობით აღჭურვილმა პირმა დარეჯან ხილაგაძემ ამომრჩევლებს გააცნო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ვ. გ. ბენიძის ბიოგრაფია, მოუთხრო მისი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის, საბჭოთა კანონების მოთხოვნათა დაცვა-განხორციელების საქმეში გაწეულ მუშაობაზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ვ. გ. ბენიძემ ვრცლად ილაპარაკა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის როლსა და მოვალეობაზე, პარლამენტის საქმიანობაზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევისა და განმტკიცების, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის, მშრომელთა უფლებებისა და მოვალეობების დაცვის საქმეში, ვრცლად ილაპარაკა რესპუბლიკაში არსებულ ვითარებაზე, რაიონის რიგი პრობლემების მოგვარებაში დეპუტატის მოვალეობასა და სხვა საკითხებზე.

დეპუტატობის კანდიდატს ამომრჩევლებმა დაუსვეს მრავალი შეკითხვა, რომლებსაც მან გასცა ამომწურავი პასუხი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ანალოგიური შეხვედრები მოაწყო: ზუბის, ორბელის, ლაჯანის, ლაცორიის, წილამიერის, ლასურიაშის საარჩევნო უბნების ამომრჩევლებთან.

დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები:

რაიონის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის ზრუნვა: ამ მიზნით კოლმეურნეობებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მეურნეობრიობის ახალი ფორმების და მეთოდების დანერგვა. უპერსპექტივო ზარალიან მეურნეობათა ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად დამოუკიდებელანგარიშიანი საარენდო ურთიერთობების დანერგვა ბრიგადებთან, რგოლებთან და ინდივიდებთან.

კოლმეურნეობების განთავისუფლება მოკლევადიანი და გრძელვადიანი სახელმწიფო სესხებისაგან და ამის შემდეგ კოლმეურნეობების ბაზაზე გლეხური მეურნეობების ეტაპობრივი განვითარება იმ ვარაუდით, რომ კოლმეურნეობების ლიკვიდაციის დროს საკოლმეურნეო ქონება გადანაწილდეს კოლმეურნე წევრებზე.

გლეხურ მეურნეობებზე გადასვლისას სოფლად მომსახურებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვისა და რეალიზაციის კოოპერატივების შექმნა.

მიწის გადაცემა რაიონის მოსახლეობისათვის კერძო მფლობელობაში მემკვიდრეობის უფლებით, ყიდვა-გაყიდვის ნებართვის გარეშე. რაიონის ყველა სოფელში საკარმიდამო მიწის ფონდის შერჩევა და გამოყოფა პერსპექტივაში მოსახლეობის გამრავლებისა და დამეწყვილი და სტიქიისაგან დანგრეული კომლების ადგილზე დამაგრების თვალსაზრისით.

რაიონის ყველა სოფელში ძველი ადმინისტრაციული და საერთო სარგებლობის შენობის აღდგენა, საქმიანი ეზოებისა და კულტურული ცენტრების მოწყობა იმ მიზნით, რომ ყველა სოფელს ჰქონდეს საკუთარი საჭირო რაოდენობის ავტომობილი, ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს რაიონში დემოგრაფიული და ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების ღონისძიებების გატარებას.

რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საჭირბოროტო პრობლემები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს რაიონის წინაშე დასახული მნიშვნელოვანი ამოცანების რეალიზაციას, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტიდან, რომელსაც მხარს ვუჭერ.

განსაკუთრებით აუცილებლად მიმაჩნია სხვადასხვა საზოგადოებრივი მიმდინარეობების წარმომადგენლების ერთიანობა, კონსოლიდაცია, რაიონის კომუნისტების, მშრომელთა დარაზმვა ქართველი ერის წიაღში დასახული ამოცანების რეალიზაციისათვის, ეროვნული, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის.

ინტერვიუ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

ორი კვირაღა დარჩა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებამდე. როგორც ცნობილია, რაიონში შექმნილ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში, დეპუტატობის კანდიდატად დღეისათვის რეგისტრაციაში გატარებულია 8 კანდიდატი.

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციამ დეპუტატობის ყველა კანდიდატს მიმართა კითხვებით.

ვიწყებთ დეპუტატობის კანდიდატებთან ინტერვიუს ბეჭდვას.

ეთერ ყურაშვილი:

ძალა ხომ ერთობაშია

ალვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ეთერ დიმიტრის ასული ყურაშვილი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ალვის სასოფლო საბჭოს მოსახლეობის კრებამ. რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

*** როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი სადეპუტატო მოღვაწეობა და საარჩევნო პროგრამის შესრულების საშუალებები?**

—საქართველოს მე-11 მოწვევის მე-12 სესიამ კარგად დაგვანახა, რომ დეპუტატობა ფუფუნება კი არა, უზარმაზარი პასუხისმგებლობაა. დეპუტატებმა ხელი უნდა შეუწყონ სუვერენული საქართველოს შექმნას, უნდა შეიცვალოს ახლად არჩეული დეპუტატებისადმი მიდგომა. იმ საარჩევნო ოლქში, სადაც დეპუტატი იქნება წამოყენებული, არ უნდა მოხდეს, რომ დეპუტატის გვერდის ავლით გადაწყდეს რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი. არ უნდა მიეცეს ვინმეს იმის უფლება დეპუტატის სამართლიან მოთხოვნას თვალი აარიდოს. დეპუტატს პარლამენტში მუშაობის უფრო კარგი პირობები უნდა ჰქონდეს, ვიდრე ეს დღემდე იყო.

***რა შეგძინათ გარდაქმნამ, საჯაროობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლამ?**

—ცხოვრებამ დაგვანახა, რომ გარდაქმნა ჩვენით უნდა დავიწყოთ. გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლამ ცხადად დაგვანახა ჩვენი ცხოვრების სინამდვილე, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, რამაც საზოგადოებაში პარტიის ნდობის დეფიციტი გამოიწვია. მაგრამ ბევრი იყო და ახლაც არის წმინდა პატიოსანი პიროვნებები, რომელთაც გულით სურდათ და სურთ რაიმეს გაკეთება პარტიაში. მე მწამს, რომ რიგითი კომუნისტების უმრავლესობას გარდაქმნა არ სჭირდება. მათ შესწევთ უნარი აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღებაში, ახლად შექმნილი სახალხო გაერთიანებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პარტიების მხარდამხარ.

*** როგორ გესახებათ ცაგერის რაიონის მომავალი ხუთწლედი?**

—ცაგერის რაიონის ეკონომიკური გაზრდისათვის ბრძოლა სოფლის აღორძინებით უნდა დავიწყოთ, ვეცადოთ მთაც ისეთ პირობებში ჩავაყენოთ, როგორც ბარი. გამოვიკვლიოთ ერთ სულ მოსახლეზე რა დონის სიკეთე მოდის ქალაქად და შევეუფარდოთ სოფლის ცხოვრებას, ვიბრძოლოთ, არსებითი განსხვავება რაც შეიძლება ჩქარი ტემპით შევამციროთ, უფრო მეტი სახსრები სოფლის კეთილდღეობას მოვახმაროთ.

განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს ეკოლოგიური და დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღება, ეროვნული ტრადიციების აღდგენა, საშური საქმეა ძეგლების აღდგენა. ყველა ღონე ვიხმაროთ რომ „მთას დაუბრუნდეს მთიელი".

*** როგორ წარმოგიდგენიათ თქვენს სამოქმედო სფეროში გარდაქმნა?**

—გარდაქმნა სკოლიდან უნდა დავიწყოთ, დღეს სკოლის ყველაზე დიდი პრობლემა მასწავლებელია. ბატონმა შალვა ამონაშვილმა მასწავლებელთა საკავშირო ყრილობაზე ბრძანა: „ერთი კარგი ადამიანი შეიძლება ხის ქვეშ დაჯდეს თავის მოსწავლეებთან ერთად და იქ აწრთოს მათი სული". როგორც ახლად შემუშავებულმა ეროვნული სკოლის კონცეფციამ დაგვანახა, ბავშვები ეროვნულ იდეალებზე უნდა იზრდებოდნენ, მათ თავიდანვე უნდა იცოდნენ რა არის სამშობლო და ნამდვილი პატრიოტიზმი. მოსწავლე, რომელიც სკოლის მერხიდანვე შეიცნობს ქრისტეს მოძღვრებას და მისი ათი მცნებით აღიზრდება, ის ადამიანზე, მით უფრო მეგობარზე, დანას არ აღმართავს. „არა კაც ჰკლა", „გიყვარდეს მოყვასი შენი" ეს უნდა იყოს ბავშვის იდეოლოგია.

ხშირადაა კონფლიქტი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, პედაგოგებიც ხშირად მოსწავლეებს არასწორად ვუდგებით. ბავშვს სურს თავისი თვალით ნახოს და განიცადოს ყველაფერი. დღეს ისეთ გარემოში უხდება მას ცხოვრება, რომ არ შეიძლება ბავშვს ავუკრძალოთ მიტინგებზე მისვლა. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. მიტინგის გულისთვის გაკვეთილის ხშირად გაცდენა ბავშვის ღალატიც გამოვა. დღევანდელობამ ნათლად დაგვანახვა, როგორც არასდროს ისე სჭირდება საქართველოს დღეს მეტად მცოდნე, განათლებული სპეციალისტები. 1990 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ წიგნიერების წლად გამოაცხადა.

*** თქვენი პოზიცია საქართველო ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და მიღწევის საშუალებები?**

—საქართველოში ეროვნული მოძრაობა არასოდეს არ შეწყვეტილა, მაგრამ გარდაქმნამ და საჯაროობამ დაგვანახა, რომ ეროვნულ მოძრაობას ცალკეული პირები კი არ უნდა ეწირონენ, არამედ თითოეული ჩვენგანი, ძალა ხომ ერთობაშია! მართალია, ბევრი დაბრკოლებაა გადასალახავი, მაგრამ ნათელი მიზნისაკენ მიმავალი გზა არასოდეს ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი.

პარლამენტური ბრძოლაა აუცილებელი. მართალია, ახალ პირობებში რესპუბლიკის პარლამენტის მხოლოდ ერთი სესია ჩატარდა, ისიც ძველი ტრადიციული შემადგენლობის პარლამენტისა, მაგრამ ბევრი სრულიად ახლებური გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. ახალი შემადგენლობისაგან, რა თქმა უნდა, უფრო მეტს მოელის ხალხი.

ემონაწილეობ არჩევნებში. დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს №201 საარჩევნო ოლქში აღვის სასოფლო საბჭოს მოსახლეობის კრებამ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა მოვახსენო მათ.

საქართველოს ალკა ცაგერის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს ალკა ცაგერის რაიონული კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კომკავშირის ცაგერის რაიკომის პირველი მდივნის გ. კვირკაშვილის ინფორმაცია კომკავშირის რაიონულ ორგანიზაციაში საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის წესდებისა და პროგრამის ალტერნატიული კონიანტების განხილვის შესახებ, სადაც ფართოდ იქნა გაშუქებული ახალგაზრდული ორგანიზაციის სახელწოდების, სტატუსის, პლატფორმის საკითხები.

პლენუმმა საქართველოს კომკავშირის რიგგარეშე ყრილობის დელეგატად დახურული ფარული კენჭისყრით აირჩია გიორგი ალიოშას ძე კვირკაშვილი.

კანონი და კომპიუტერი

„როგორ იმოქმედებს საწარმოთა მოგებაზე გადასახადის შემცირება ბიუჯეტის დეფიციტსა და ფულად ემისიაზე? ან რა მოხდება, თუ ამ გადასახადს გავადიდებთ? მცირე დაფიქრების შემდეგ კომპიუტერი იძლევა დისპლეის ეკრანზე პასუხს გრაფიკის სახით, რომელიც გასაგებია თვით ისეთი ადამიანისათვისაც კი, რომელსაც სულ არ გაეგება კომპიუტერული სამყაროს საიდუმლოება. მანქანა თავის აზრს გამოთქვამს მისაწვდომი გრაფიკული ფორმით, რომელსაც არ სჭირდება სპეციალური გაშიფვრა, მაგრამ ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ შეიცვლება, მაგალითად, ბიუჯეტის დეფიციტი ნახევარი წლის, ერთი წლის შემდეგ...

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ნამუშევრის ავტორებმა— ლენინგრადელმა მეცნიერებმა გადადგეს პირველი ნაბიჯი იმ იდეის რეალიზაციის გზაზე, რომელიც წარმოიშვა ეკონომიკური რეფორმის საკითხების კომიტეტში მისი მუშაობის დაწყების პირველსავე დღეებში: შეაფასოს მომავალი კანონების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის დახმარებით.

შეგახსენებთ, რომ ეკონომისტთა პროგნოზული შეფასებების საჭიროებაზე არაერთხელ იყო ლაპარაკი სახალხო დეპუტატთა ყრილობებზეც და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიებზეც. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა, როცა პარლამენტს მოუწევს განიხილოს და მიიღოს ეკონომიკურ კანონთა მთელი პაკეტი, რომელთაც უნდა გარდაქმნან ქვეყნის სახალხო მეურნეობა, გახდნენ მისი სამართლებრივი „კარკასი".

ამგვარად, „მანქანების გამოცდა" უკვე შედგა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ყველა პრობლემა გადაწყვეტილია და არჩევანიც გაკეთებული?

„რასაკვირველია, არა,—ამბობს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. ბლოხინი,— უბრალოდ ლენინგრადელებმა ერთ-ერთმა პირველებმა არა მარტო შემოგვთავაზეს თავიანთი ნამუშევარი, არამედ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე კიდეც გვიჩვენეს მისი შესაძლებლობანი. მაგრამ მეტწილად ისინი მარტონი როდი არიან მიღებული კანონების პროგნოზული შეფასების რაციონალური მათემატიკური მეთოდების ძიებაში. ჩვენ მზად ვართ გავიზიაროთ სხვა წინადადებებიც, მათ შორის ქვეყნის წამყვანი სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ წამოყენებულიც. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გავითვალისწინოთ ქვეყანაში არსებული გამოცდილება და რეალურად შევუდგეთ ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების დახმარებით კანონპროექტების შეფასებას. ჩვენი გამოცდილება შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს აგრეთვე სხვა საპარლამენტო კომიტეტებისა და კომისიებისათვის".

ვ. კიოსა.

საკავშირო საპარლამენტო კორესპონდენტი.



შავი ზღვის სისუფთავისათვის

სერიოზულადაა დარღვეული შავი ზღვის წყლის გარემოს ეკონომიური თანაფარდობა. ქართველი მეცნიერები, სპეციალისტები საჭიროდ მიიჩნევენ რადიკალური ზომების მიღებას იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ შედეგები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიონ შავი ზღვის ეკოლოგიური სისუფთავის გადაუჭრელმა პრობლემებმა.

სანაპირო ხაზი, მდინარე ნატანების შესართავიდან ფსოუს შესართავამდე 140 მილზე მეტია. იგი შედის საქართველოს სსრ ბუნებისა და სატყეო მეურნეობის დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ფოთის სპეციალური საზღვაო ინსპექციის მომსახურების ზონაში.

ინსპექციის თანამშრომლები აკონტროლებენ ზღვის ბიოლოგიურ სისუფთავეს, ანხორციელებენ გემების ზედამხედველობას, რომლებიც ზღვაში უშვებენ სხვადასხვა ნარჩენსა და მინარევს.

მიმდინარე წლის დამდეგიდან ინსპექციამ შეამოწმა 150-ზე მეტი გემი და ობიექტი, რომლებიც სანაპირო ზონასთან მდებარეობენ, ფულადი ჯარიმები დაკისრა ზღვის გამკუჭყიანებელ თანამდებობის პირებს.

ინსპექტორები, რომლებსაც აწუხებთ შავი ზღვის ბედი, თვლიან, რომ მანამ, სანამ ეს საჭირბოროტო პრობლემა არ გახდება საყოველთაო საზრუნავი, ვერავითარი ლოკალური ღონისძიებანი სათანადო ეფექტს ვერ მოგვცემენ.

სურათზე: საზღვაო ინსპექციის კატარღა „საქართველოს ბუნება" პატრულობს ფოთის ნავსადგურის აკვატორიას.

ი. პოხოლელიძის ფოტო.

მღელვარე დღეთა ფურცლები



ლევან ჩიქოვანი

● ● ●

„ცაგერის რაიონის მშრომელები დიდ სამამულო ომში“

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ ჩვენს ქვეყანაზე თავმოხვეულმა დიდმა სამამულო ომმა დიდი უბედურება მოუტანა ხალხს. მრავალი ადამიანი შეეწირა სისხლისმღვრელ ბრძოლებს. ქვეყანა განიცდიდა ხვრეგასა და გაპარტახებას. ბრძოლის ადგილებში არაერთი ქალაქი, სოფელი და დასახლებული პუნქტი იქნა მიწასთან გასწორებული.

სამამულო ომი, რომელიც 1418 დღე გრძელდებოდა უსიამოვნო მოგონებად დარჩა ჩვენი ხალხის მეხსიერებაში. ახლა, როცა ომის დამთავრებიდან 45-ე წელში შევედით, კვლავ ვიხსენებთ იმ ავადმოსაგონარ პერიოდს, როცა მთელი ჩვენი ხალხი დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასი და საყვარელია სამშობლო და მისი მიწა-წყალი, ერთი აზრით იყო განმსჭვალული: რადაც არ უნდა დასჯდომოდათ გაენადგურებინათ ფაშისტი დამპყრობლები და გამარჯვება მოეპოვებინათ.

დღეს სიამაყით ვიგონებთ, რომ გამარჯვებაში საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ხალხთან ერთად, ჩვენი რაიონის მშრომელებსაც თავიანთი მოკრძალებული წვლილი აქვთ შეტანილი.

ბევრი ითქვა და დაიწერა დიდ სამამულო ომში, ფრონტსა და ზურგში ლეჩხუმელი ხალხის ბრძოლასა და თავდადებაზე, მათი სასახელო საქმეების შესახებ კიდევ ბევრი დაიწერება. ცხადია, ჩემი ღრმა რწმენით, დავიწყებას არ უნდა მიეცეს სამამულო ომის არც ერთი ეპიზოდი, არ უნდა დაიკარგოს არც ერთი სახელი, ვინც თავი ისახელა, რაც შეეძლო მაქსიმუმი გააკეთა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ხოლო იმ მებრძოლთა სახელები, რომლებმაც თავიანთი სპეტაკი სიცოცხლე სამშობლოს საკურთხეველზე მიიტანეს, მარად დარჩება მადლიერ შთამომავალთა გულებში, მათი გმირობა და მამაცობა ხომ უმაღლესი ზნეობრიობის გამოხატულებაა ახალი თაობებისათვის.

სამამულო ომის აქტიურ და თავდადებულ მონაწილეთა არდავიწყების ერთ-ერთი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ამ დღეებში რესპუბლიკის მშრომელებმა, ფართო საზოგადოებრიობამ მიიღო სამამულო ომის ვეტერანის, განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგის **ლევან ჩიქოვანის** წიგნი **„ცაგერის რაიონის მშრომელები დიდ სამამულო ომში“**, რომელიც გამოსცა გამომცემლობა **„საბჭოთა საქართველომ“**.

ავტორს წიგნის შექმნასთან დაკავშირებით უამრავი დოკუმენტური მასალა შეუგროვებია, საფუძვლიანად დაუმუშავებია და შეუსწავლია, შეხვედრია სამამულო ომის მრავალ მონაწილეს, მის ახლობელსა და ნათესავს, გაცნობია საარქივო მასალებს, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს და ა. შ.

წიგნი დაწერილია გამართული ქართული ენით და თავიდან ბოლომდე საინტერესოდ იკითხება.

მართალია, სამამულო ომის თემა ამოუწურავია, ბევრი რამ დავიწყებას ეძლევა, მაგრამ ავტორმა ამ წიგნის გამოცემით დიდი საქმე გააკეთა, კვლავ გააცოცხლა ომის დროინდელი რაიონის მშრომელთა გმირობისა და თავდადების შესანიშნავი ეპიზოდები და მკითხველს მართალი და დამაჯერებელი ენით მოუთხრო ხალხის ერთიანობასა და დარაზმულობაზე, ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებზე.

ნაშრომის ერთ-ერთ თავში „სამშობლოს დაძახილზე“, ავტორი წერს: „ამ პატარა რაიონმა, რომლის მოსახლეობა ომის წინ 29 ათასს არ აღემატებოდა, სამშობლოს დასაცავად გაგზავნა 7.000-მდე მებრძოლი, აქედან ნახევარზე მეტი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას“.

ეს ასე იყო.

სამშობლოს დაძახილზე ფრონტზე წავიდა რაიონის შრომისუნარიანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. ჩემი თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს გაწვევის დღეები. მოზღვავებული ხალხი რაიონის სამხედრო კომისარიატის შენობაში არ ეტეოდა და გასაწვევი პუნქტი ცაგერის დღევანდელი საშუალო სკოლის შენობაში გადმოიტანეს. ყველა ფრონტზე წასვლას მოითხოვდა გამოძახებული იყო თუ არა, ბევრი მოხალისედ მიდიოდა.

კარგად აქვს ნათქვამი წიგნის პერსონაჟს, გვესოს კოლმეურნეობის წევრს ბეგლარ ჩიქოვანს: „მოხუცები ზურგიდან დაეხმარებით წითელ არმიას, რათა მალე მოუღონ ბოლო ფაშისტურ სისხლისმსმელებს, ხოლო ბრძოლებში შვილებს გავგზავნითო“.

წიგნში ფართოდ არის გაშუქებული ის დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რასაც ადგილზე ეწეოდნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები. მოყვანილია ცალკეული, კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ადასტურებენ ფრონტისა და ზურგის ერთიანობას.

როცა მტერი კავკასიონის მთისწინეთს მოადგა, რესპუბლიკის მთიან რაიონებში, მათ შორის ჩვენს რაიონშიც, დესანტები ჩამოსხეს. ავტორს მოჰყავს იმის მაგალითები, თუ როგორ ვაქკაცურად, თავგანწირულად, სიცოცხლის ფასად მოქმედებდნენ ადგილობრივი გამანადგურებელი ბატალიონები და მოსახლეობა დესანტის აღმოჩენისა და ლიკვიდაციისათვის.

რაიონის პარტიული, საბჭოთა, კოლმეურნეობების და სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელობა, წარმოება-დაწესებულებები და ყველა მშრომელი აღსდგა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნაშრომში მრავლად არის მოყვანილი იმის მაგალითები, თუ როგორ თავდადებასა და ერთგულებას იჩენდნენ ზურგის მშრომელები წითელი არმიის მომარაგებისათვის სურსათითა და თბილი ტანსაცმლით.

აქვე აღნიშნულია რაიონის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების თავდადება, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ძლიერ უჭირდათ, მათ დიდძალი თანხები მოაგროვეს სატანკო კოლონებისა და საბრძოლო სატორპედო კატარღების მშენებლობის ფონდის შექმნისათვის. ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობდნენ თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაში, ეხმარებოდნენ ფრონტელთა ოჯახებს საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში, საცხოვრებელი ბინების შეკეთებაში, აგროვებდნენ სხვადასხვა ნივთებს და ა. შ.

წიგნის მესამე თავში „ცაგერის რაიონის წარგზავნილთა საბრძოლო გმირობა დიდ სამამულო ომში“ ვკითხულობთ: „რაიონის შვილები მამაცურად იბრძოდნენ მოსკოვთან, ლენინგრადთან, სტალინგრადთან, ჩრდილო კავკასიაში, ყირიმში, კურსკის რკალზე, მონაწილეობდნენ ბერლინის იერიშში და ფაშისტდამპყრობთა უღლისაგან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლებაში“.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი თანამემამულეების სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, საინჟინრო ჯარების მარშლის არჩილ ვიქტორის ძე გელოვანისა და 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ყოფილი მეთაურის გენერალ-მაიორის გიორგი გაბრიელის ძე ყურაშვილის საბრძოლო ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებს.

ასევე მოთხრობილია 500-ზე მეტი ლეჩხუმელი მებრძოლისა და მეთაურის შესახებ, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და თავიანთი წვლილი შეიტანეს მტრის განადგურების საქმეში.

წიგნში მოყვანილია იმის მაგალითებიც, როცა სამამულო ომში იბრძოდნენ არა მარტო ცალკეული პირები, არამედ ერთი ოჯახიდან 6, 5, 4, 3 ძმა, მამა და შვილები. მთელი ოჯახი. მოთხრობილია რაიონის წარგზავნილთა მიერ ჩადენილი გმირული ბრძოლების არა ერთი ეპიზოდის შესახებ.

ლ. ჩიქოვანის ნაშრომში სპეციალური თავი „მამაცების მხარდამხარ“ მიძღვნილია რაიონის იმ ქალებისადმი, რომლებიც ფრონტზე იბრძოდნენ და მამაცების მხარდამხარ განვლეს ომის ძნელი და ეკლიანი გზა. მოთხრობილია ფრონტელი გოგონების დოდო ახვლედიანის, თამარ დარსაძის, ქენია მამარდაშვილის, მარიამ მუშკუდიანის, ქეთევან ურუშაძის, ბერტა ყურაშვილის, კლარა ჩაჩხიანის, გოგუცა ჭიჭინაძის და სხვათა საბრძოლო ცხოვრების გზებზე. მართალი სიტყვით მოთხრობილია მათ მიერ განცდილ და გადატანილ საბრძოლო ეპიზოდებზე.

ცალკე თავი ეძღვნება იმათ გმირობას და მამაცობას, რომლებმაც თავი დასდეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და ვეღარ დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ კერას. გამოვლენილია ბევრი უცნობი გმირი, რომლებიც საუკუნო ძილით განისვენებენ უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ყირიმის მიწაზე.

ქალაქის პარკის შესასვლელთან აღმართულია შინმოუსვლელთა მემორიალი, მსგავსი მემორიალები აღმართულია რაიონის თითქმის ყველა სოფელში და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში, მათ ახალგაზრდები გამარჯვებულ ... თან დაკავშირებულ ... ენ ცოცხალი ... და აქ მართავენ მსატვრულ ღონისძიებებს.

შექმნილია და ფუნქციონირებს დიდების მუზეუმი, საინჟინრო ჯარების მარშლის ა. ვ. გელოვანის სახლ-მუზეუმი სოფელ სპათაგორში, პოეტი ჯარისკაცის ს. ისიანის სახლ-მუზეუმი სოფელ ზოგიშში.

მზრუნველობა და ყურადღება არ აკლია სამამულო ომის ინვალიდებსა და ომში დაღუპულთა ოჯახებს. დღითი-დღე უმჯობესდება მათი საპენსიო, საოჯახო და საყოფაცხოვრებო პირობები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ომის ყველა მონაწილე და ომში დაღუპულთა ოჯახები ყველას ყურადღების ცენტრშია და დიდი პატივით სარგებლობს, ყოველივე ამის შესახებ დამაჯერებელი ფაქტებით მოუთხრობს მკითხველს წიგნის ავტორი.

ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს პარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, თითოეული კომუნისტის პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, რაც დაკავშირებული იყო სამშობლოს დაცვისა და მტრის განადგურების ამოცანებთან, ომიანობის პერიოდში მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის მთელი არსენალი გამოყენებული იყო მომენტის შესაბამისად მასების დარაზმვისათვის.

გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა. კერძოდ, წიგნში გაპარულია ზოგიერთი კორექტორული შეცდომა. ნაშრომი დიდად მოიგებდა და უფრო მიმზიდველი გახდებოდა, რომ მასში მოთავსებული იყოს ომის მონაწილეების ფოტოსურათები. მცირეა წიგნის ტირაჟი, 3000 ცალი მარტო ცაგერში გასაღდებოდა. ეს შენიშვნები ჩრდილს არ აყენებენ ნაშრომს. იგი საამოვნებით იკითხება, როგორც მეტად საჭირო და-სასარგებლო წიგნი.

ამ დღეებში ჩვენ შეეხვდით წიგნის ავტორს პატივცემულ ლევან ჩიქოვანს. მან გაგვანდო განზრახვა და გვითხრა, რომ გათვალისწინებული აქვს გამოსცეს ამ წიგნის მეორე ნაწილი, რომელშიც მოთხრობილი იქნება იმ მებრძოლების თავდადება და ვაჟკაცობა, რომლებიც ამ წიგნში ვერ მოხვდნენ. ღმერთმაც ჰქნას მას ეს სურვილი განეხორციელებინოს.

დარწმუნებული ვარ, ვინც კი ამ წიგნს წაიკითხავს, დიდი მადლიერი და კმაყოფილი დარჩება მისი ავტორისა, რომელსაც თავისი ძალა, ცოდნა და გამოცდილება არ დაუზარებია ამ წიგნის შექმნისათვის.

ვლ. ხეცურიანი.

კომუნისტური პარტიის, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი კ უ თ ხ ე

სად დაიკარგა მზე?

ბნელა. წყვდიადია. სად დაიკარგა მზე? ამბობენ, ღრუბელი ჩამოეფარა და გაიყინაო სამარადჟამოდ.

ღამის წყვდიადში ეშმაკებმა მოიყარეს თავი და მოხდა ის, რომ მხოლოდ მათი თვალები ანათებდა მრუმეში. მათი ხარხარი და გნიასი გულს უკლავდა ღვთისმოსავ ადამიანებს. ისინი ბნელში სხედან... არ იციან, როდის ამოვა მზე და გაანათებს ირგვლივ ყოველივეს...

ერთმა ცეცხლისმფრქეველმა ეშმაკმა ყველა გააოცა, სადაც გაივლიდა. მისი თვალები ყველგან ანათებდა, ყველა მას მისჩერებოდა. ყოველისშემძლე ჩამოვიდაო მიწაზე, ქადაგებდნენ უვიცები და ლოცვით მისდევდნენ ფეხდაფეხ.

—შეჩერდით ხალხნო! ნუ ტყუვდებით, მალე ამოვა მზე, ნუ დაბრმავდით, ღმერთი არა გწამთ?—ვიღაცა მთელი ხმით ყვიროდა, მაგრამ აურზაურის გამო ხმა იკარგებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ძლივს ისმოდა. ზოგი ტიროდა, ზოგი ხმამაღლა ხარხარებდა, ზოგან წყევლა და მუქარა ისმოდა, ზოგი ხელაპყრობილი ღმერთს რაღაცას ევედრებოდა, ზოგიც ლექსს ამბობდა ხმამაღლა, მაგრამ არავინ უსმენდა... აურზაურის გამო მავედრებელი ხმა კვლავ ხალხში იკარგებოდა.

აგერ ცეცხლისმფრქეველი ეშმაკი ისევ გამოჩნდა, ბავშვების შუაში ჩადგა და მათ არწმუნებდა, მე ნათელმხილველი ვარო, ხელში წინდისჩხირები ეჭირა და ეკლიან ხალიჩას ქსოვდა, თან აფენდა. აგერ უზარმაზარი კოცონი აგიზგიზდა. წამით ინათა ირგვლივ. ზოგმა თვალებზე აიფარა ხელი და გაიქცა, ზოგი გახარებული შესცქეროდა ძველი ნოხებისა და მამა-პაპური ფარდაგების ანთებული ალის გიზგიზს.

იქსოვება და იქსოვება ახალი ხალიჩა შხამიანი წინდის ჩხირებით.

ღმერთს ეცინება... უღმერთოდ ყოფნა კაცისა... ხალიჩა უნდა მოეფინოს მთელს დედამიწას. არიქა! რაც შეიძლება სწრაფად! ჩქარობს ჯადოქარი. ის ხომ საუკუნის პირმშოა, არწმუნებს ხალხს. ჩქარობს ჯადოქარი...

—თვალთა სინათლეს და უურთა სმენას დავკარგავთ, ცეცხლის ალში გავეხვევით, დავიღუპებით, ხალხნო! ნუ ენდობით ხალიჩის მქსოველს. გაუშვით ხელი შხამიან ჩხირებს — ისევ გაისმა აურზაურში ვიღაცის ხმა.

—აკეცეთ ეს საშინელი მახე, სანამ დაინგრა ქვეყანა, აკივლდა თავგანწირულთა ათასი ხმა, აიღეთ და მასში მისი შემოქმედი შეახვიეთ, შეკარით და დაწვით, რამეთუ გზასამცდარ ხალხი შედგეს და დაიძახოს: გათენდა!

აი, უკვე ყველაფერს ეხედავთ!

ნინო ყვირილიანი,

ცაგერის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.

ვდგევარ მდუმარედ...

ახლა ზამთარია და ყოველივე
ჩემს თვალწინ ხდება,
ო, რა მძიმეა მოტოვებულ
სახლების მზერა,
ვდგევარ მდუმარედ, თავდახრილი
და მეფიქრება —
ამ სახლებშიაც, ხომ იქნებოდა
აკვნების რწევა.
ახლა, როდესაც ზამთარია, და
ხეებს ცივა,
თოვლის საფარქვეშ გახვეულა
მშობელი მიწა,
და მარტო ძაღლი, თუ შეუყეფს
შემოსულ რიყრაეს,
ხოლო სახლები განაგრძობენ
სანუკვარ სიზმარს.
რა დაშავდება, დაუბრუნდნენ
მშობლიურ კერას
რად მიატოვეს, რად გამოკეტეს
ასე უხეშად?

თამარ დოღიაშვილი-
გოლეთიანი,

სოფ. ნაკურალეში.

სულში შემოვიდა

(ჩანახატი).

უცებ იფეთქა შინდმა, ერთბაშად აყვავდა და მარტის მზის სხივებს მორცხვად გაუღიმა.

ლაღად ჩაიმღერა ჰატარა, ანკარა ნაკადულმა, პაწაწინა ტალღებით წაიღო გამდნარი თოვლი. ბუჩქის ძირიდან ლურჯთვალა იამ გაუღიმა ცის კიდეში მიმალულ ღრუბლის ნაფლეთს.

მოწყენილმა ხეებმა ერთბაშად შემოიძარცვეს ზამთრის გახუნებული სამოსი და ალალად გაუღიმეს გაზაფხულის შემობრძანებას.

შეკრთა ზამთარი, თეთრთმიანი და გულსუსხიანი მოხუცი, აშკარად თუ იგრძნო სიცოცხლის დასასრული...

გაზაფხული შემოვიდა, პირმშვენიერი, სურნელოვანი გაზაფხული. დაღონებული ბეღურებიც გამოცოცხლდნენ და ჰაერში ფრთებით მიმოფანტეს გაზაფხულის ნაზი სურნელი.

გაზაფხულდა.

ოქროცურვილი ციმციმებს
ცვარი,
ცინცხალი ზეცა ციალებს
ცისფრად.

ყველაფერი გალამაზდა თითქოს: გამხმარი ტოტები, ნაკადულში ჩაცვენილი შარშანდელი ფოთლები და ხავსიანი, მძიმე ლოდებიც კი.

ლამაზად აყვავდა შინდი.

მორცხვად გაიღიმა ცისფერთვალა იამ.

სადღაც თავგამოდებით უსტვენს შაშვი. უსტვენს სიცოცხლისა და გამოღვიძების საგალობელს.

სულში ფრთხილად შემოდის გაზაფხული.

ნანა აკოგიძე

ფილტვების ხელოვნური შემცვლელი

ნიუ-იორკი. სოლტლეიკ-სიტის (იუტას შტატი) ერთ-ერთი საავადმყოფოს ექიმებმა პირველად გადაუნერგეს ადამიანს ფილტვის ფუნქციის შემსრულებელი ხელოვნური მოწყობილობა. მოწყობილობა მთლიანად კი არ ცვლის ფილტვს, არამედ მხოლოდ დროებით—იგი ავადმყოფის გამოჯანმრთელებამდე თავის თავზე იღებს სისხლის ჟანგბადის გაჯერებისა და გულისათვის მისი მოწოდების მნიშვნელოვან ამოცანას.

(საკ.ინ.)

ახალი თეატრის დაბადება

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების „ჩემო კალამო“ მოტივზე შექმნილი სპექტაკლის პრემიერით გვაუწყა თავისი დაბადება საქართველოს დრამატულმა თეატრმა „ქვემო ქართლმა“. ეს სახელწოდება მან საქართველოს უძველესი კუთხის მიხედვით მიიღო და ახლა მისი მისამართია დმანისის რაიონის სოფელი განთიადი. აღორძინდა და ძალას იკრებს ეს მხარე. მან ასობით ქართველის ოჯახი შეიფარა, რომლებიც სტიქიური უბედურების გამო იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ აჭარისა და სვანეთის შეჩვეული ადგილები.

—თეატრი თავის დაბადებას ორ ენთუზიასტს უნდა უმადლოდეს,—ამბობს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ზინაიდა კვერენჩხილაძე. — ესენია არქეოლოგი ჯუმბერ კოპალიანი და ინჟინერი ნანა ბოკუჩავა. ჩვენი თეატრი მთლად ჩვეულებრივი როდია. გარდა იმ ბირთვისა, რომელმაც მისი დასის საფუძველი შეადგინა, სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვა თეატრების მსახიობებიც.

(საქინფორმი)

იყო ყვავილები. ცრემლი... და სალი აზრი

ცაგერის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზი სავსე იყო სხვადასხვა ასაკისა და შეხედულების მკითხველით. 6 მარტის საღამო იდგა. არ იგრძნობოდა ის განწყობა, რაც გვჩვეოდა ტრადიციულად. იყო ცრემლი, ტკივილი, ყვავილები და იყო ღიმილიც, მომავლის რწმენით გასხივოსნებული.

საღამო მიჰყავდა მანანა გოგიძეს. მან გულწრფელად დალოცა ყველა ქალი და დედა, დღესასწაული მიულოცა და შემდეგ დარბაზში მსხდომნი გულღია დიალოგში გამოიწვია.

საუბარი იყო მიმდინარე მოვლენებზე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზებზე, მომავალ არჩევნებზე, რაიონის პრობლემებზე, მათი გადაწყვეტის საშუალებებზე. საღამოს მონაწილეებს გზადაგზა განმუხტავდა ლექსი ან სიმღერა.

თავიანთი პოზიცია გამოხატეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა, ექიმმა ჯონი გოლეთიანმა, სახალხო ფრონტის გამგეობის წევრმა, საფინანსო განყოფილების გამგემ რამაზ კოპალიანმა, რაისაბჭოს აღმასკომის ქალაქის განთილმოწყობისა და კომუნალური სამსახურის განყოფილების გამგემ ამირან კვირკაშვილმა, წმინდა ილია მართლის საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა ია ხმელიძემ, ქალთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ მზევინარ ძნელაძემ, თავმჯდომარის მოადგილემ თინა ხაღინაძემ, კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა ტატიანა ყურაშვილმა, ნანული ხაღინაძემ, მერი იმედაშვილმა, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსის მოადგილემ სულიკო ყურაშვილმა, ნ შვილის დედამ ჟენევერ კვირკაშვილმა და სხვებმა.

დიახ, ეს საღამო პოლიტიკური დისკუსია უფრო იყო, ვიდრე ზეიმი. რას ვიზამთ, სწორ აზროვნებასა და კონკრეტულ გადაწყვეტას ითხოვს ჩვენგან დღევანდელობა, ერი, საქართველო.

მ. გურული.

ქალი დედა და ქალი ლეგენდა

ქალთა დღეს მიეძღვნა ღვირიშის სასოფლო კლუბში ჩატარებული შეხვედრა, სადაც მოწვეული იყვნენ მრავალშვილიანი დედები, შრომის ვეტერანები და მოწინავენი.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სასოფლო კლუბის გამგე. მ. ახვლედიანი, ღვირიშის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე მზია გიორგობიანი.

მოწვეულ სტუმრებს დღესასწაული მიულოცა მოსწავლე ნესტან ხეცურიანმა.

საშუალო სკოლისა და სასოფლო კლუბის მხატვრული კოლექტივების (ხელმძღვანელი იზა გიორგობიანი) მიერ შესრულდა სიმღერები, წაკითხულ იქნა ლექსები, წარმოდგენილ იქნა სკეტჩები.

მ. ახვლედიანი,

სოფ. ღვირიშე.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

ზურაბ ჯამბურიძე, ომარ ბურჯალიანი, გენადი უგრეხელიძე, ამირან გაბისონია, ზურაბ, გუჯა ჩაკვეტაძეები, მურთაზ ღურჭუმალიძე, გერონტი კალანდაძე, ამირან მეგრელი, ნოდარ სილაგაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიტალი ამბროსის ძე მეშველიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზიკო კოპალიანს მულის

მარო ელიზბარის ასული კოპალიანი-ბრეგაძის

გარდაცვალების გამო.

ღვირიშის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია ნიკოლაიშვილს და რეზო ჩხეტიანს დედამთილისა და დედის

გოგუცა ჩხეტიანის

გარდაცვალების გამო.

შვილები კუკური, ჯემალი, რძლები ბელა საღინაძე, ნელი ახვლედიანი, შვილიშვილები მარინე, მირიანი, მაია, რეზო, შვილთაშვილები, ძმისშვილი აკაკი ჩიქოვანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

საშა კონსტანტინეს ასული ჩიქოვანი-ჩარკვიანი.

დაკრძალვა 13 მარტს, სამშაბათს, 17 საათზე ქ. ცაგერში.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ თალიკო ყურაშვილს ბიძაშვილის

ეორა მიხეილის ძე მიქაუტაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბორის კვირკაშვილს მამიდის

გალინე პეტრეს ასული კვირკაშვილი-ეფაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-28, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66589, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდითი სატყვიანი სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.